



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ბრძანება

თბილისი



MES 4 22 0000059768



24/01/2022

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ იურიდიულ პირში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით 2022 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 14 იანვრის N23418 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ იურიდიულ პირში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით განისაზღვროს 2022 წლის პრიორიტეტები:

- ა) განათლება (011);
- ბ) ხელოვნება (021);

- გ) ბუღალტრული აღრიცხვა (0411.3.1);
 - დ) საფინანსო სერვისები (0412.3.1);
 - ე) ლოგისტიკა (0413.3.2);
 - ვ) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (061);
 - ზ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე (071);
 - თ) წარმოება და გადამამუშავება (072);
 - ი) არქიტექტურა და მშენებლობა (073);
 - კ) სოფლის მეურნეობა (081);
 - ლ) მეტყევეობა (082);
 - მ) მეთევზეობა (083);
 - ნ) ვეტერინარია (084);
 - ო) ინტერდისციპლინური (088);
 - პ) ჯანდაცვა (091);
 - ჟ) პერსონალური მომსახურებები (101);
 - რ) ტრანსპორტის მომსახურებები (104).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

